28/11/2025

MES 8 25 0001692602

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.11.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 18:19
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.
7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

8. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმო მადგენლები:

- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- **ანი ქერაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

1. ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;
2. მარინა ქარჩავა - პრორექტორი;
3. ჟუჟა ხაჭაპურიძე - სურსათის ტექნოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;
4. ეთო შამუგია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის კოორდინატორი;
5. ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ ი უნივერსიტეტი:

1. გიორგი ბასილაძე - კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

2. ლაშა მელაძე - კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
3. ბაია ჯაფარიძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
4. მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი;
5. ქეთევან ბაკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

სსიპ- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. ნატო გენგიური - პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ნანა დოლიძე - ასოცირებული პროფესორი, დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. მაია ლევანიძე - ასოცირებული პროფესორი, კინოტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. ანდრო ენუქიძე - ასოცირებული პროფესორი, დრამის დეკანი, საბაკალავრო „თეატრის რეჟისურა“ პროგრამის ხელმძღვანელი;
5. ეკატერინე გელიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი“ პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
1. მარიამ ხომასურიძე;
2. თეა ხოსიტაშვილი;
3. მიხეილ ბიჭია;
4. თამარ თხელიძე;
5. თამარ ჩხეიძე;
6. ლია კურტანიძე;
7. ია მოსაშვილი;

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ,**ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეტყველების კულტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მსახიობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის: თეატრის რეჟისორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”სადადგმო ხელოვნება” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორის” (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• კი

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა. 11 ნოემბრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ჩანიშნული იყო ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა. დაწესებულების მომართვის საფუძველზე, გაითვალისწინა საბჭომ თხოვნა და 11 ნოემბრის ზეპირ მოსმენაზე საკითხი არ განხილულა. შესაბამისად, მიზანშეწონილა, რომ საკითხი, რომელიც გადაიდო, მიმდინარე საბჭოზე ყოფილიყო პირველ საკითხად განხილული.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეტყველების კულტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მსახიობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის: თეატრის რეჟისორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”სადადგმო ხელოვნება” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორის” (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721- სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია;
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სურსათის ტექნოლოგია;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 40;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ელიზბარ ელიზბარაშვილი - შრომითი ურთიერობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა გუნდის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტი გამოირჩევა როგორც კვლევითი მიმართულებით, ასევე აკადემიური პერსონალის მაღალი კომპეტენტურობით, უნივერსიტეტის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიული ქსელით და სტუდენტებისთვის პრაქტიკული აქტივობების ფართო შესაძლებლობებით.

ვიზიტის მთავარი მიზანი იყო გაუმჯობესების სფეროების გამოვლენა, რათა პროგრამების კლასტერი კიდევ უფრო დაიხვეწოს. ექსპერტებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ენის სწავლების მასალასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების შინაარსსა და სასწავლო მასალას შორის არსებული გადაფარვა. ხარვეზები დაფიქსირდა ნაშრომების შეფასების პროცესშიც.

გარდა ამისა, ექსპერტი გამოეხმაურა არგუმენტირებულ დასკვნას, სადაც ხაზგასმული იყო, რომ შეფასება უფრო ავტორიზაციის საკითხებზე იყო ორიენტირებული, ვიდრე აკრედიტაციაზე. თუმცა აღინიშნა, რომ ეს ორი პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული და აუცილებელია ორივეზე თანაბარი ყურადღების გამახვილება.

საბოლოოდ, ხაზგასმით ითქვა, რომ ყველა აღნიშნული რეკომენდაციის მიზანია პროგრამის ინსტიტუციურ დონეზე გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ პირველ მნიშვნელოვან პრობლემად კონტექსტის გაუთვალისწინებლობა იქცა. აღნიშნულმა პროგრამამ ერთი წლის წინ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია, რაც ნიშნავს, რომ ინსტიტუციას უკვე აქვს შესაბამისი უფლებამოსილება. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესში იმ საკითხების ხელახალი შემოწმება, რომლებიც უკვე დადასტურებულია, არ არის ობიექტური და მიზანშეწონილი. ამასთან, რეკომენდაციებში ხაზგასმულია გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები, თუმცა რექტორის თქმით, ისინი უფრო რჩევის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და არა როგორც სავალდებულო რეკომენდაციები. დაწესებულება ასევე არ ეთანხმება ქართული ენის სწავლების მიმართულებით გაკეთებულ შენიშვნას, რადგან უნივერსიტეტი მოქმედებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ქვეშ და მისი მისიის შესაბამისად სწავლება მაქსიმალურად ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სადავო აღმოჩნდა ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის შეფასების საკითხიც. რექტორმა აღნიშნა, რომ თუ ხელმძღვანელი არ შეაფასებს სტუდენტს, ეს ვალდებულება სხვას ვერ დაეკისრება. მართალია, სტუდენტის საბოლოო შეფასება მხოლოდ ხელმძღვანელის მოსაზრებაზე არ არის დამოკიდებული, თუმცა კანონმდებლობით ხელმძღვანელს უფლება აქვს, სტუდენტის საქმიანობა შეაფასოს.

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელმა ჟუჟა ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ სურსათის ტექნოლოგიაში არსებობს ფუნდამენტური მიმართულებები, სადაც ლიტერატურის განახლება ყოველთვის აუცილებელი არ არის. მაგალითად, ნიუტონის მეორე კანონი ათწლეულების განმავლობაში უცვლელი რჩება, ამიტომ მსგავსი საბაზისო საგნების შემთხვევაში ლიტერატურის განახლების მოთხოვნა არ არის მიზანშეწონილი. ამასთან, სილაბუსის ცვლილება და სასწავლო ლიტერატურის შერჩევა ლექტორის პასუხისმგებლობაა. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სურსათთან დაკავშირებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ერთმანეთთან გარდამავალია: საბაკალავრო პროგრამა უფრო ფართო მიმართულებებს მოიცავს, ხოლო შემდგომ საფეხურებზე სწავლება ვიწროვდება და აქცენტი კეთდება სამეცნიერო უნარების განვითარებაზე. ჟუჟა ხაჭაპურიძემ აღინიშნა, რომ ერთ-ერთი კურსის სახელწოდება არასწორად იყო თარგმნილი და სწორედ ასე განხილულიც. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ უნდა მოხდეს შინაარსის ზედაპირული შეფასება. მაგალითად, სურსათის მიკრობიოლოგიის სილაბუსში შესაძლოა პირდაპირ არ ჩანდა ყველა

სასწავლო შედეგი, რის გამოც ექსპერტებმა ზოგიერთი საკითხი უგულებელყვეს. თუმცა, სილაბუსში მითითებულია, რომ სტუდენტები სწავლობენ ნიმუშის არევის წესს, რაც რეგულირდება როგორც საქართველოს ტექნიკური რეგლამენტით, ასევე ევროკომისიის რეგლამენტით. გარდა ამისა, ისინი სწავლობენ ჰასპის სისტემაში მიკრობიოლოგიურ ასპექტებს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული. მან ასევე განმარტა, რომ შესაძლოა სილაბუსში გარკვეული საკითხები პირდაპირ არ აისახოს, თუმცა ლექტორის მიერ შემუშავებული დამატებითი მასალები ცალსახად მიუთითებს, რომ თემები სტუდენტებს სრულად მიეწოდება.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომელთაც საფუძველი არ ახლავს, პროგრამის კლასტერის ფარგლებს სცდება. გარდა ამისა, დაფიქსირდა უზუსტობები, მაგალითად - ქართული ენის სწავლების საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტთა გუნდის მიზანი უნდა იყოს არსებული პროგრამების გაუმჯობესებაში დახმარება და არა ახალი პროგრამების შექმნა. რექტორმა ხაზი გაუსვა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ მითითებული საფუძველი, რის გამოც ისინი ან უნდა მოიხსნას, ან ექსპერტთა გუნდმა კონკრეტულად უნდა დაასაბუთოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში მითითებულია 70-იანი წლების ლიტერატურა, რაც აუცილებელია, რომ თანამედროვე მასალებით ჩანაცვლდეს. ამასთან, დაწესებულებამ ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა ქართულენოვანია, თუმცა მაგალითად კურსში „სურსათის ინჟინერია I“ ძირითადი ლიტერატურა ინგლისურენოვანია. შავაძემ დასვა კითხვა: თუ სტუდენტს ინგლისური ენის ცოდნა არ აქვს, როგორ შეძლებს აღნიშნული კურსის გავლას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურასთან ერთად ყოველთვის მითითებულია ლექტორის მიერ შემუშავებული მასალაც. ლექტორები, როგორც წესი, საკუთარ პრეზენტაციებზე დაყრდნობით უძღვებიან სალექციო კურსს, რის შედეგადაც სტუდენტებს მიეწოდებათ როგორც წიგნები, ასევე ქართულ ენაზე მომზადებული დამატებითი მასალები. რაც შეეხება მოძველებულ ლიტერატურას, იგი ლექტორების მიერ შედგენილი ახალი მასალებით სრულდება. ინგლისური ენის საკითხზე კი აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარებისას სტუდენტს შესაძლოა უკვე ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა. ვინც B2 დონეზე ფლობს ინგლისურს, ამ საგნისგან თავისუფლდება, ხოლო ვინც B2-ზე ნაკლებ დონეზეა, იწყებს ენის ეტაპობრივ შესწავლას. იმ შემთხვევაში, თუ კურსამდე სტუდენტს მაინც არ ექნება საჭირო ენის დონე, პროცესში ერთვება ტუტორი, ხოლო ლექტორი მუდმივად მზად არის დაეხმაროს მას მასალის ათვისებაში.
რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ამასთან დაკავშირებით მუდმივად ატარებს მონიტორინგს და შედეგების მიხედვით ყოველწლიურად უმჯობესდება ინგლისური ენის დონე სტუდენტებში. პრაქტიკულად არ არსებობს იმის მაგალითი, რომ სტუდენტმა ვერ დახურა საგანი ენის ბარიერის გამო, ამიტომ ეს რეკომენდაცია არ არის შსაბამისი არგუმენტებით განმტკიცებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მაღალი დონის საგანმანათლებლო დაწესებულებაა, თუმცა ექსპერტებს აქვთ გარკვეული შენიშვნები, რომლებიც რეკომენდაციების სახით უნდა გამოიხატოს. მაგალითად, სადოქტორო ნაშრომის დაცვაზე არცერთ უნივერსიტეტში ხელმძღვანელი არ ყოფილა შეფასების კომისიის წევრთა შორის. სხვა რეკომენდაციებთან მიმართებით თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მათი რეგულირება მარტივად შესაძლებელია. თუმცა, თუ ისინი რჩევის სახით იქნება წარმოდგენილი, მათი კონტროლი და შესრულების უზრუნველყოფა უფრო რთული გახდება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი სამივე საფეხურის სილაბუსებში საკმაოდ დეტალურადაა გაწერილი. მაგალითად, სადოქტორო საფეხურზე „არგუმენტირებული წერის ხელოვნების“ დასკვნით ნაწილში შეფასება არის 25-30 ქულა. მას აინტერესებდა რის მიხედვით ეხებოდა შეფასება, რამდენად სამართლიანია ეს ბიჯები და რის მიხედით წერს ლექტორი ქულას.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ თუ საკითხს მთლიანობაში შევხედავთ, მაშინ საგანში ასივე ქულა სპეციფიკურად უნდა იყოს გაწერილი, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი თქმით, თუ სტუდენტს აქვს კითხვები შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს ნიშნის გასაჩივრების მექანიზმები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანების მიხედვით, სადაც განსაზღვრულია შეფასების შკალა, „ფრიადი“ შეფასება 91-დან 100 ქულამდეა. შესაბამისად, შეფასების ბიჯები ყველა შემთხვევაში დაცულია. ამასთან, რუბრიკების განაწილება ლექტორის დისკრეციას წარმოადგენს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ „სამადუღრე სასმელების ტექნოლოგიის“ კურსთან დაკავშირებით კითხვით კვლავ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა. ეს კურსი ეხება ლუდისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიებს, თუმცა ლიტერატურა მხოლოდ მევენახეობის არის მითითებული. მას დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციაია აინტერესებდა ამ საკითხის მიმართ.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსზე ლექტორს რიდესრის სახით შემუშავებული აქვს მასალები, რომელიც ეგზავნება სტუდენტებს. ის მოიცავს ყველა დანარჩენი პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაისვა კითხვა, რატომ არ იყო სილაბუსში მეტი კონკრეტიზაცია. აღნიშნული საკითხი დასკვნაში არ აისახა, რადგან კონკრეტიზაცია საჭიროებდა ვრცელ განმარტებას და პრობლემა მხოლოდ ამ კურსს არ ეხებოდა. შესაბამისად, დასკვნაში რეკომენდაციის სახით მითითებულია, რომ მოხდეს კურიკულუმის რუქების სისტემური გადახედვა. მაგალითად, „სამედუღრე ტექნოლოგიების“ კურსში მესამე კვირაში მითითებულია: „ღვინომასალების სტაბილიზაცია და ღვინომასალების ფიზიკური საკითხების დამუშავება“, ხოლო ლიტერატურად დასახელებულია მხოლოდ ორი წყარო, რომლებიც მევენახეობას ეხება (ქანქარია, 1983; გოცირიძე და გოდობრელიძე, 2009). ამავე კურსში განსაზღვრულია, რომ სტუდენტმა უნდა წარადგინოს სამი პრეზენტაცია, თითოეული 3 ქულიანი, ჯამში 9 ქულა. თუმცა, მესამე კვირიდან სილაბუსში მუდმივად მითითებულია „პრეზენტაციების მოსმენა და მასზე მუშაობა“, რაც ბუნდოვანს ხდის პრეზენტაციების წარდგენის პროცესს. გარდა ამისა, ლექტორის მიერ შემუშავებული მასალები მოცულობით საკმაოდ დიდია. მაგალითად, „ბუნებისმეტყველების“ კურსში მითითებულია, რომ ლექტორი წარადგენს 26 სემინარს, ხოლო სილაბუსში გაწერილია 27 საათობრივი სემინარი. თავფურცელზე მითითებულია 28 საათი, თუმცა რეალურად ჩამოთვლილია 30 სემინარი, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის მეხუთე სწავლის შედეგი, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციური სტანდარტების გააზრებას ეხება, პირდაპირ სილაბუსში არ ჩანს. მისი თქმით, თუ საკითხი საკვანძოა, ის აუცილებლად უნდა აისახოს ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორიცაა სწავლის მიზნები და შედეგები, რომლებიც შემდეგ კურიკულუმის რუკაზე გადის. იგივე პრობლემა დაფიქსირდა კურსში „სურსათის ხარისხის კონტროლის მიკრობიოლოგიური მეთოდები“, სადაც ერთ-ერთ შედეგში მითითებულია, რომ სტუდენტი ფლობს ინფორმაციას სურსათის ხარისხის მიკრობიოლოგიური ასპექტების შესახებ, საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების გათვალისწინებით. საყურადღებოა, რომ „სურსათის ბიოლოგიის“ საბაკალავრო

კურსში მსგავსი რეგულატორული სტანდარტები არ იყო ასახული, მაშინ როცა სამაგისტრო პროგრამაში ისინი მკაფიოდ ჩანს. ეს თავისთავად მიუთითებს, რომ ანალოგიური პრინციპი საბაკალავრო საფეხურზეც უნდა გამოყენებულიყო. მიხეილ ბიჭიამ ასევე დასვა კითხვა, რამდენად არის „ინფორმაციის ფლობა“ შესაბამისი სამაგისტრო საფეხურისთვის. გარდა ამისა, კურსი „გამოყენებითი ბიომეცნიერების თანამედროვე მიღწევები“ კურიკულუმის რუკის მიხედვით მხოლოდ პირველ შედეგზე გადის, თუმცა სილაბუსის მიხედვით შესაძლოა მეოთხე შედეგზეც გავრცელდეს. მსგავსი საკითხი დაფიქსირდა სადოქტორო პროგრამაშიც, სადაც თავად უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ გარკვეული კომპეტენციები უნდა გაძლიერდეს, რაც ადასტურებს, რომ არსებობს გასაუმჯობესებელი მხარეები. ექსპერტთა მიზანიც სწორედ ამაზე იყო ორიენტირებული - კომპეტენციის ფარგლებში გაუმჯობესების საჭიროებების გამოვლენაზე. გარდა ამისა, კურსი „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ მონიშნულია მე-4, მე-5 და მე-6 შედეგებზე, თუმცა ბუნდოვანია, რატომ არ გადის მე-3 შედეგზეც, რადგან მისი შინაარსიდან გამომდინარე ეს შესაძლებელი იქნებოდა. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სტუდენტებმა თანამედროვე განათლება უნდა მიიღონ, ამიტომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ახალ და შინაარსობრივად აქტუალურ წყაროებს. ეს არ ნიშნავს მხოლოდ გამოცემის წელს, არამედ შინაარსის შესაბამისობას. დასკვნაში დასახელებულია რამდენიმე საგანი, რომელთა ლიტერატურა აუცილებლად უნდა გადაიხედოს. მაგალითად, „ფილოსოფიის“ კურსში სავალდებულო ნაშრომებად მითითებულია 46 წყარო, რაც რეალისტურად გადამეტებულია. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად შესაძლებელია სტუდენტმა კურსის ფარგლებში თუნდაც 23 ნაშრომის გაცნობა. ასევე აღინიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის კურსში „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ უახლესი წყარო 2014 წლის ანგარიშია. სავალდებულო ლიტერატურაში თეორიული მასალების გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ უფრო ახალი წყაროებიც არსებობს. ამრიგად, გაცემული რეკომენდაციები არგუმენტირებულ საფუძველს ემყარება და მიზნად ისახავს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც დარგის სპეციალისტი სილაბუსს ეცნობა, მას შეუძლია განსაზღვროს, რა ცოდნას იძლევა კონკრეტული კურსი. შესაბამისად, სილაბუსების ზედაპირული შეფასება მიზანშეწონილი არ არის და აუცილებელია მათი შინაარსობრივი ანალიზი, რათა რეკომენდაციები უფრო საფუძვლიანად და სწორად ჩამოყალიბდეს.

რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ პროგრამაში 50-ზე მეტი საგანი შედის, რომელთა შორის დიდი ნაწილი ზოგადსაუნივერსიტეტო კურსებია. მისი თქმით, ექსპერტებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო წარმოდგენა, რომელი საგნები არის პროგრამის სპეციფიკური და რომელი - არა, რადგან კვების ტექნოლოგიის კონტექსტში ფილოსოფიის კურსის გადახედვა არ შეიძლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქარჩავამ დაამატა, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურის სრულად წაკითხვა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას. ჩანაწერში მიითებულია, რომ სტუდენტს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა, ან ცნობა, რომელითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის ან/და მუშაობის გამოცდილება. მას აინტერესებდა საკმარისი იქნებოდა თუ არა არააღიარებული ცნობა, რომელიც, პირობითად, თარჯიმანთა ბიურომ გასცა.

რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ არ იქნება საკმარისი. თუ არ დასტურდება აღნიშნული დონე, უნივერსიტეტი კანდიდატს უტარებს ტესტს.

საბჭოს თავმჯდომარეს ლევან შავაძეს აინტერესებდა სამაგისტრო პროგრამაზეც თუ მოეთხოვება კანდიდატს უცხო ენის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ინგლისური ენის ტესტს წერს კანდიდატი და დონის დადგენა ხდება.

საბჭოს წერმა, ირინა ლობჟანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. დასკვნიდან გამომდინარე დაწესებულებას არ აქვს პლაგიატის გამოვლენის რაიმე ტიპის პროგრამული უზრუნველყოფადა მას აინტერესებდა რა ტიპის გეგმა აქვს დაწესებულებას ამასთან დაკავშიებით და ამასთან მას აინტერესებდა პირველადი რეცენზირების შემდეგ კომიტეტის ფორმირებამდე, აქვს თუ არა სტუდენტს ნაშრომის ჩასწორების საშუალება.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ ორმაგი შეფასების შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია საკითხის ფორმირება და ექსპერტთა აზრის გათვალისწინება. რაც შეეხება პლაგიატს, უნივერსიტეტს არ აქვს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა მოქმედებს პლაგიატის შემოწმების არამანქანური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერების დაცვას. შესაბამისად, პლაგიატის შემოწმების სისტემა არსებობს და შესაძლებელია მისი დოკუმენტურად დადასტურება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პირველადი რეცენზირების დროს ნაშრომში ცვლილებების შეტანის უფლება არ აქვთ.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ბოლოდროინდელი გამოწვევაა ხელოვნური ინტელექტი და ხშირად მისი მეშვეობით იწერება ნაშრომი და აინტერესებდა ამ პრობლემას როგორ უმკლავდება დაწესებულება.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ეთიკის საბჭოს რამდენიმე სხდომა გამართული, რომელიც ეხებოდა სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტით საკუთარი ინტელექტუალური შრომის ჩანაცვლებით. ამასთან დაკავშირებით ლექტორებიც გადიან ტრენინგებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სტუდენტებს ძირითადად უწევთ პრაქტიკული მუშაობა და ხელოვნური ინტელექტის გავლენა მათ ნაშრომებზე ნაკლებია. ამასთან, ქულების მოგროვებაც ხდება ან საგამოცდო ცენტრში ან სემინარებზე აქტიურობის სახით. სახლში გასაკეთებელი დავალებები ძირითადად არ აქვთ.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ „სურსათის მიკრობიოლოგიის“ საგანზე ჩატარებული ინტერვიუს დროს თავად კურსის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ შესაძლოა კურსი ვერ გადიოდა მე-5 შედეგზე და ეს სწავლის შედეგებში მკაფიოდ არ იყო ასახული. შესაბამისად, ამ მიმართულებით ცვლილება ექსპერტებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე უნივერსიტეტი აცხადებს, რომ შეფასებები აქტიურად გამოიყენება და კოორდინაციას ექვემდებარება. თუმცა, ვიზიტის დროს პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საუბრისას ექსპერტთა გუნდმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს შესაბამისი მექანიზმი სისტემურად წარმოდგენილი და ამ ნაწილს სრულად ანდობს პროფესორებს. იმის გამო, რომ აღნიშნული საკითხი შეხვედრისას გაჟღერდა, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ დაწესებულება მზად იყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისთვის.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ვიზიტის კითხვა დასვეს მხოლოდ მხოლოდ მანქანურ მექანიზმზე, რომელიც ნამდვილად არ აქვს უნივერსიტეტს, რადგან მანქანურ შემოწმებს არ მიიჩნევენ მიზანშეწონილად. ავტორიზაციის დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს გამათული სისტემა ამ კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებზე გასვლა ლექტორებთან ერთად არის გავლილი და თუ ლექტორი რაიმე სწავლის შედეგზე არ გადის, არც დაიწერება. შესაბამისად იმის მტკიცება, რომ სწავლის შედეგზე ვერ გადის რომელიმე სასწავლო კურსი არარეალურია.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს, რომ კანდიდატს მოეთხოვოს წინარე ნაშრომი, სამეცნიერო კვლევით აქტივობებში ჩართულობა ან/და მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება. აღნიშნული მოთხოვნები არც პროგრამის აღწერილ წინაპირობებში და არც სადისერტაციო ნაშრომის დებულებაში არ არის ასახული, რის გამოც

მან დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტების გაკეთება სთხოვა. ასევე, სადისერტაციო ნაშრომის დებულებაში განსაზღვრულია სამეცნიერო ხელმძღვანელის კრიტერიუმები. თუმცა, სადოქტორო საფეხურის პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, ერთ-ერთ მინიმალურ მოთხოვნად მითითებულია, რომ ხელმძღვანელს საკვლევ სფეროში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში. აღნიშნული პირობა დებულებაში არ არის ასახული, რის გამოც ქეთევან აფთარაშვილს სურდა განმარტების მოსმენა როგორც დაწესებულების, ისე ექსპერტების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული ნაშრომებისა და კვლევებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დებულების მიხედვით არის განსაზღვული. 477 პუნქტი არის, რომელიც ამ კონკრეტულ მოთხოვნას ეხება, რომელიც ყველა სადოქტორო მიმართულებას არეგულირებს. ასევე დაწესებულების წამომადგენელმა აღნიშნა, რომ დებულებაში მექვსე მუხლიდან იწყება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევა, ამ შემთხვევაში ოთხოვნები გაწერილია 6.1-ში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიღების წინაპირობას წარმოადგენს გასაუბრება. მას აინტერესებდა ამ შემთხვევაში თუ იყო განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და რა იყო ეს კრიტერიუმები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე დეტალურად არის აღწერილი მიღების კრიტერიუმები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია აპლიკანტისთვის მისი კანდიდატურის განხილვის წინ. თუმცა, რადგან პროგრამა მცირე რაოდენობის აპლიკანტებს იღებს, ხშირად ტარდება გასაუბრება როგორც დეკანთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელთან, რათა უკეთ შეფასდეს როგორც აპლიკანტის, ისე უნივერსიტეტის ინტერესები. შესაძლებელია, რომ აპლიკანტი მაღალი ქულით შეფასდეს, მაგრამ ინტერესთა თავსებადობა არ არსებობდეს. შესაბამისად, როდესაც იქმნება სამეცნიერო მიმართულების მიმღები კომისია და ტარდება გასაუბრება, შეფასების კრიტერიუმები და ქულების განაწილება მკაფიოდ არ არის განსაზღვრული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჟუჟა ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ადრე ჰქონდა პროგრამა კარსერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელიც ეხებოდა მდგრად სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამჯერ გამოცხადდა დოქტორანტურაში მიღება, თუმცა გასაუბრების შედეგად ხშირად ვერ ხდებოდა ინტერესთა თანხვედრა დაწესებულებასა და აპლიკანტს შორის. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქეთევან აფთარაშვილს აინტერესებდა, იყო თუ არა ინგლისური ენის შემოწმებისას განსაზღვრული მინიმალური ბარიერი აპლიკანტისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანკა თაბუკაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროცესს კურირებს ინგლისური ენის საგნების კურატორი, რომელიც სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს ტესტის ადმინისტრირებას. როგორც აღინიშნა, მინიმალური მოთხოვნა არის B2 დონე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ ტარდება კემბრიჯის ტესტი, სადაც განსაზღვრულია, რა შემთხვევაში ენიჭება აპლიკანტს B2 დონე და რა შემთხვევაში - B1. აღნიშნული პროცესი არეგულირებს მინიმალურ მოთხოვნებსაც.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულებას კითხვით. დებულების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომლებიც მკაფიოდ არის გაწერილი და სრულდება ნაშრომის საბოლოო დაცვით. დაცვამდე, როგორც წესი, ნაშრომს აფასებენ ხელმძღვანელი და რეცენზენტი, რომლებიც წარადგენენ წერილობით დასკვნებს, რათა მაგისტრანტი დაშვებული იქნეს საჯარო დაცვაზე. მას აინტერესებდა:

- აკეთებენ თუ არა ხელმძღვანელი და რეცენზენტი ქულობრივ შეფასებას დასკვნის მომზადებისას და შემდეგ, კომისიის წევრებად ყოფნისას, კვლავ ქულობრივად აფასებენ თუ არა;
- რამდენი რეცენზენტი შეიძლება ჰყავდეს მაგისტრანტს;
- უარყოფილი რეცენზიის შემთხვევაში რა პროცედურებს ითვალისწინებს უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციები.

დებულების 2.1 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელი ინიშნება მაგისტრანტის სწავლის არაუგვიანეს მესამე სემესტრის დასაწყისში, ხოლო მაგისტრანტი მუშაობს მესამე და მეოთხე სემესტრში. მეოთხე სემესტრის ბოლოს უნდა განხორციელდეს დაცვა. ასეთ შემთხვევაში, თუ დასკვნების წარდგენიდან რექტორი სამ თვეში ქმნის დაცვის კომიტეტს, როგორ ჯდება ეს პროცესი აკადემიურ კალენდარში, როდესაც დაცვა უნდა მოხდეს მეოთხე სემესტრში.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამაგისტრო თეზისების დაცვა შეიძლება განხორციელდეს სემესტრის ფარგლებს გარეთაც. ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ პროფესორები ხშირად იმყოფებიან უცხოეთში, რის გამოც სამთვიანი ვადაც ამ გარემოებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, დარღვევა არ არის, რადგან კანონმდებლობა საშუალებას იძლევა, დაცვა ჩატარდეს სემესტრის მიღმაც.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა ექსპერტებს მიმართა კითხვით. მათ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სასურველია შემოღებულ იქნას პროფესორთან ერთად მუშაობის პრაქტიკა - დოქტორანტების ასისტენტობა, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული სწავლების გამოცდილება. მას აინტერესებდა, შეესაბამება თუ არა ასისტენტობა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს.
საგანმანათლებლო დაწესებულეის წარმომადგენელმა, ჟუჟა ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე რეცენზენტი და ხელმძღვანელი ამოწმებენ ნაშრომს მხოლოდ შესაბამისობის თვალსაზრისით - მაგალითად, რამდენად აკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მოთხოვნებს და სხვა ტექნიკურ კრიტერიუმებს. ამ ეტაპზე ქულების დაწერა არ ხდება. იმ შემთხვევაში, თუ დადებითი დასკვნა ვერ მიიღება, შესაძლებელია ნაშრომის ხელახალი ექსპერტიზა, რის შემდეგაც სტუდენტი აგრძელებს მუშაობას ნაშრომზე. რაც შეეხება დაცვას, ის არ არის შეზღუდული მხოლოდ სემესტრის ფარგლებში, ამიტომ ეს არ წარმოადგენს პრობლემას.
საბჭოს წერმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა კვლავ ექსპერტებს. მას აინტერესებდა იმ შემთხვევაში თუ არ ხდება ხელმძღვანელის მხრიდან ორჯერ შეფასება, ამ შემთხვევაში რატომ არის პრობლემა კომისიაში იყოს ხელმძღვანელი და მაშინ გააკეთოს შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის პროცესში რეცენზენტის ორმაგი როლი იკვეთება: პირველ ეტაპზე ის ამზადებს ნაშრომს დაცვისთვის, ხოლო შემდეგ მონაწილეობს დაცვის დროს შეფასებაში. ასეთ შემთხვევაში, თუ რეცენზენტი დაცვაზე დადებითად შეაფასებს ნაშრომს, რთულია მას შემდეგ დაბალი ქულის მინიჭება. ხელმძღვანელის მონაწილეობა ქულის დაწერაში ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, რაც ექსპერტთა დასკვნაშიც იყო ხაზგასმული. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხელმძღვანელებს ბუნებრივად აქვთ მოტივაცია, რომ მათმა სტუდენტმა მიიღოს უფრო მაღალი შეფასება. დებულების მიხედვით, უნივერსიტეტში დაშვებულია ოთხწევრიანი კომისია, საიდანაც სამი წევრი საკმარისია კვორუმისთვის. თუმცა, როდესაც ორი წევრი - ხელმძღვანელი და რეცენზენტი - მჭიდროდ არიან ჩართული თეზისის მომზადებაში, კომისიაში რჩება მხოლოდ ერთი-ორი დამოუკიდებელი შემფასებელი, რაც არ უზრუნველყოფს მოსაზრებათა მრავალფეროვნებას და კრიტიკული შეფასების დამოუკიდებლობას. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ინდივიდუალური ქულების საბოლოო 100-ქულიან შეფასებაში აგრეგირების ზუსტი მეთოდი მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ეს ქმნის იმის ალბათობას, რომ შეფასებაში შეიძლება იყოს არათანმიმდევრულობა, ხოლო სტუდენტებს შესაძლოა არ ესმოდეთ, როგორ ფორმირდება მათი საბოლოო ქულა. რეკომენდაციის მიზანია მკაფიოდ გაიმიჯნოს

ხელმძღვანელისა და შემფასებელი კომისიის როლები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეცენზენტის ორმაგი ჩართულობა შეფასებაში არ არის მიზანშეწონილი.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ გამოუთხოვიათ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები ნიშნების ინფლაციის შესამოწმებლად, შესაბამისად, ვერ დაადასტურებენ, რომ ქულები სუბიექტურად არის დაწერილი.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ განმარტა, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს გარკვეული დოკუმენტები და მათი საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი პრაქტიკიდან გამომდინარე, არცერთ უნივერსიტეტში არ დადასტურებულა ხელმძღვანელის ჩართულობა კომისიის მუშაობაში.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომზე სტუდენტები მუშაობენ დამოუკიდებლად. ხელმძღვანელი და რეცენზენტი მხოლოდ ამოწმებენ ნაშრომს, რათა განსაზღვრონ, არის თუ არა პლაგიატი, რამდენად სწორად არის დამუშავებული გამოყენებული ლიტერატურა და სხვა ტექნიკური საკითხები. შესაბამისად, მაგისტრანტი დამოუკიდებლად მუშაობს ნაშრომზე, ხოლო ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, ობიექტურია შეფასებისას.
საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას: მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში ჩართულია სხვადასხვა თემები ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი სასურსათო წარმოების შესახებ, არ არსებობს ერთიანი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემს საფუძვლიან ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს ეკოლოგიურად უსაფრთხო და რესურსეფექტიანი სასურსათო წარმოების მიმართულებით. მას აინტერესებდა, არსებობს თუ არა ასეთი კურსი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჟუჟა ხაჭაპურიძემ განმარტა, რომ ბაკალავრის საფეხურზე არის ზოგადი საგნები, რომლებიც სტუდენტებს აძლევენ შესაძლებლობას სხვადასხვა კურსიდან მიიღონ შესაბამისი ცოდნა. გარდა ამისა, ეკოლოგიის მიმართულებით არსებობს მსგავსი საგანი.
საბჭოს წერმა, ნარგული ასანიძემ აღნიშნა, რომ დღეს კანონმდებლობა მოითხოვს კვების ობიექტებზე HACCP სისტემების დანერგვას. პროგრამა მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება HACCP და ISO სისტემების დანერგვას. მას აინტერესებდა, იძლევა თუ არა ეს იმის საშუალებას, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს პრაქტიკული უნარები ამ სისტემების დანერგვისთვის.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჟუჟა ხაჭაპურიძემ განმარტა, რომ ბაკალავრის საფეხურის კურსდამთავრებულები ხშირად ქმნიან საკონსულტაციო კომპანიებს და აქტიურად ეწევიან კონსულტაციებს. ასევე, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია საწარმო ვიზიტები სურსათის უვნებლობის ფარგლებში. რადგან HACCP სავალდებულოა, სტუდენტებს შეუძლიათ მისი დანერგვა და მართვა.
რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ დეფიციტიდან გამომდინარე დაწესებულებას აქვს დამატებითი კურსები სურსათის უვნებლობის მიმართულებით.
საბჭოს წერმა, მია წიკლაურმა დასვა კითხვა საგან „მიკრობიოლოგიის“ შესახებ: როგორ ხორციელდება სწავლება და მუშაობა, და ექსპერტებმა როგორ შეაფასეს ეს პროცესი? მას აინტერესებდა, შემოიფარგლება თუ არა კურსი მხოლოდ ნიმუშის აღების წესით, თუ აქვს გაგრძელება.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა ხოსიტაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებმა ნახეს ლაბორატორიები და აღჭურვილობა, თუმცა ერთდღიანი ვიზიტის გამო ვერ მოხერხდა დეტალური შემოწმება. ვიზიტის დროს ლაბორატორიებში მიმდინარეობდა მაგისტრანტების პრაქტიკული მუშაობა, მათ შორის ნიადაგზე დათესვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჟუჟა ხაჭაპურიძემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში მუშაობა ხორციელდება ყველა იმ წესის დაცვით, რაც სურსათის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში არის მიღებული. ლაბორატორია აღჭურვილია ბიოუსაფრთხოების კაბინით და ყველა საჭირო ინსტრუმენტით, მათ შორის სპეციალური მაცივრით, თერმოკაბინით და სხვა მოწყობილობებით.

რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ დასძინა, რომ დაწესებულებას აქვს კონტრაქტი ლიცენზირებულ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების განადგურებას საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში მუშაობს 10-ზე მეტი პროფესორი, რომლებიც მიკრობიოლოგიის მიმართულებით ატარებენ კვლევებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 17:17
სურსათის ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
საბჭომ 1.2, 1.5, კომპონენტში დაემატა რეკომენდაციები, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტს შეფასების ცვლილება და შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით 2029 წლის 14 ნოემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

სურსათის ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:
საბჭომ 1.2, 1.5, კომპონენტში დაემატა რეკომენდაციები, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტს შეფასების ცვლილება და შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით 2029 წლის 14 ნოემბრამდე.

სურსათის ტექნოლოგიების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:
საბჭომ 1.2, 1.5, კომპონენტში დაემატა რეკომენდაციები, რის საფუძველზეც აღნიშნული კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტს შეფასების ცვლილება და შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „სურსათის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით 2029 წლის 14 ნოემბრამდე.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
✓ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
✓ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიმართვა საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (სანგუს) „კომპიუტერულ მეცნიერებათა“ პროგრამების კლასტერთან დაკავშირებით: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარგზავნილი ექსპერტთა გუნდი „კომპიუტერულ მეცნიერებათა“ პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს 2025 წლის 1 სექტემბერს ეწვია. აკრედიტაციის ექსპერტთა შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები, სტუდენტი-ექსპერტი და დარგის სპეციალისტები. უნივერსიტეტში ვიზიტამდე გუნდი გაეცნო თვითშეფასების ანგარიშს და დანართებს, ასევე გაიმართა ონლაინ საკოორდინაციო შეხვედრა.
სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამშრომლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. გარდა ამისა, აკრედიტაციის ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორიები და სასწავლო სივრცეები. ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და გამჭვირვალე; ყველა შეხვედრა წარიმართა ღია და კონსტრუქციული დიალოგის პირობებში.
კლასტერი მოიცავდა ორ პროგრამას: „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საბაზისო და ჩაღრმავებული დონეების ვერტიკალურ შესაბამისობას. უნივერსიტეტში ორივე პროგრამა ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ; უზრუნველყოფილია ბალანსი თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებს შორის.
ექსპერტთა შეფასებით, ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლაბორატორიები და ციფრული რესურსები, საკმარისი იყო „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის. ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუვლენია შესაბამისობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, თუმცა ჰქონდათ რჩევები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო ხარისხის გაძლიერებისკენ და არა შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ.
ქვემოთ წარმოდგენილია რჩევების და რეკომენდაციების მოკლე შეჯამება:

- სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს საერთაშორისო ანალოგებთან შედარება („ბენჩმარკინგი“), გააძლიეროს დამსაქმებლების რეგულარული ჩართულობა და

დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ აღწეროს, თუ როგორ გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასებები კურიკულუმის ცვლილებისა და დახვეწის პროცესში.
- საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტები და პროექტზე დაფუძნებული სწავლა.
- სამაგისტრო დონეზე სასურველია პროგრამაში უკეთ წარმოჩინდეს, თუ როგორ გამოიყენება დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირი ცვლილებების დასანერგად, მაგალითად, ახალი არჩევითი საგნების ან კვლევის სფეროების დამატების გზით.
- დანარჩენი რჩევები ეხება სტუდენტების მოტივაციისა და სტიმულირების უფრო მძლავრი მექანიზმების შექმნას, მათ შორის ჯილდოებისა და სტიპენდიების დაწესებას, სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობას და გაცვლითი და მობილობის პროგრამების დივერსიფიკაციას.
- თანამშრომლებთან დაკავშირებული რჩევები მოიცავს პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის წახალისებას და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობისა და თანამშრომლობის გაფართოებას.

რჩევები ადასტურებს, რომ საჭიროა კურსების რესურსების რეგულარული განახლების პროცესის და შეფასების შედეგებსა და სასწავლო პროგრამების განახლებას შორის კავშირების გაძლიერება. სასურველია, გაძლიერდეს კვლევის ინტეგრაცია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საქმიანობაში, მოხდეს შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაცია მდგრადობის გასაუმჯობესებლად და გაგრძელდეს გამჭვირვალობის ხელშეწყობა პროგრამების შესახებ ინფორმაციის ინტერნეტში განთავსებით.
მთლიანობაში, გუნდის შეფასებისა და დასკვნის თანახმად, ორივე პროგრამა კარგად არის აგებული და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. ვიზიტის შედეგად დადასტურდა უნივერსიტეტის მაღალი პასუხისმგებლობა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური პროცესები და მუდმივი პროგრესი კლასტერის აკადემიური და პროფესიული შესაბამისობის გაძლიერებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ბაია ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა პანელის წევრებს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ვიზიტმა ღია და კოლეგიალურ გარემოში ჩაიარა. ეს კი ნათლად ჩანს ექსპერტთა დასკვნაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:49

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭება კლასტერის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის 2032 წლის 14 ნოემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭება კლასტერის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის 2032 წლის 14 ნოემბრამდე.

3. მესამე საკითხი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქორეოგრაფიის ბაკალავრიატი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება,
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეტყველების კულტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი სასცენო მეტყველების კულტურაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მსახიობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი)
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება,
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის: „თეატრის რეჟისორი” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თეატრის რეჟისორი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თეატრის რეჟისურის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

8. მერვე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადადგმო ხელოვნება
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თეატრის რეჟისურის მაგისტრი; ხელოვნების მაგისტრი ქორეოგრაფიაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 დეკემბრის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამებს აკრედიტაცია მიენიჭათ 7 წლის ვადით. გუნდის მხრიდან რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესში გაკეთდა სწორი აქცენტები, რამაც დაწესებულების წარმატება განაპირობა. ყველა რეკომენდაცია, როგორც კლასტერული, ისე ინდივიდუალური, შესრულებულია.
რაც შეეხება მეთოდოლოგიას, შინაარსობრივ ნაწილში უმეტესად ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი. ხოლო რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პროგრამის ადმინისტრაციულ საკითხებს, პროგრამის ადმინისტრირებასა და ბიუჯეტს, აქტიურად განიხილებოდა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის, ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის მონაწილეობით.
დადასტურდა ერთი უზუსტობაც, რომელიც ტექნიკური ხარვეზი იყო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში: რამდენიმე რეკომენდაცია დუბლირებული აღმოჩნდა, რის გამოც გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა რეალურად არსებულს არ ემთხვეოდა. მაგალითად, „მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ჯამურად გაცემული იყო 20 რეკომენდაცია — 3 პროგრამული და 17 კლასტერული, თუმცა რეალურად კლასტერული რეკომენდაციების რიცხვი სამით ნაკლები იყო.
ასევე, ბაკალავრიატის პროგრამებთან დაკავშირებით კლასტერული რეკომენდაციები თავისი შინაარსით საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა მათი შესრულების შესაძლებლობა ბაკალავრიატის ფარგლებში, რის გამოც ექსპერტმაც ვერ შეაფასა 2.2 და 2.3 ნაწილში არსებული კომპონენტები.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ შესრულებული სამუშაო დოკუმენტებში ძალიან დეტალურად იყო გაწერილი და ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი იყო. აღსანიშნავია დაწესებულების მიმღებლობა არა მხოლოდ რეკომენდაციების, არამედ რჩევების ნაწილშიც — მათ შესრულებული აქვთ ყველა რეკომენდაცია და რჩევების დიდი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნატო გენგიურმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და მზაობა გამოთქვა კითხვების შემთხვევაში ამომწურავად განემარტა ყევლა დეტალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს. პირველ პროგრამასთან მიმართებით 4.4 კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ქორეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური პირობებით. თუმცა ნარატივის აღწერილობით ნაწილში აღნიშნული არ იყო, შესრულდა თუ არა ეს რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი დუბლირებულია და ასახულია რჩევებში, სადაც რეკომენდაციასთან ერთად მითითებული იყო რჩევაც — საცეკვაო კლასებში სარემონტო სამუშაოების განხორციელების შესახებ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია, სადაც აღწერილია, რომ დოკუმენტაციის წარდგენის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც უკვე დასრულებულია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია წარმოდგენილია სრულად.
ექსპერტმაც დაამატა, რომ რეკომენდაცია გამოტანილი იყო რეკომენდაციებში, თუმცა ამავდროულად დასტურდება რჩევებშიც და დარჩა რჩევის სახით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:02
დასრულების დრო: 18:04
საკითხი 3

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხი 4
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეტყველების კულტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „მეტყველების კულტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხი 5

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მსახიობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ”მსახიობის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხი 7

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „თეატრის რეჟისორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „თეატრის რეჟისორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხი 8

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”სადადგმო ხელოვნების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”სადადგმო ხელოვნების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

შემდეგ საბჭომ მე-6 და მე-9 საკითხები განიხილა ერთად.

6. მეექვსე საკითხი:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინო-ტელე ოპერატორი” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კინო-ტელე ოპერატორი
საფეხური: საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საოპერატორო ხელოვნების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0211- აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

9. მეცხრე საკითხი:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორი”(თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადადგმო ხელოვნება;
საფეხური: სამაგისტრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საოპერატორო ხელოვნების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0211- აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
მეექვსე და მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამასთან მიმართებით დაწესებულებამ გათვალისწინებული ვადების დაცვით წარმოადგინა ხარისხის განვითარების ცენტრში რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, რომელშიც დეტალურად არის ასახული თუ როგორ

მიმდინარეობდა სამუშაოები. ორივე პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ განისაზღვრა 7 რეკომენდაცია. თითო რეკომენდაცია იყო 1.4 1.5 2.1 2.2 და 5.2 კომპონენტებში და 2 რეკომენდაცია 5.1 კომპონენტში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დაწეებულების მხრიდან იყო ძალიან სრულყოფილი და მოწესრიგებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი, რამაც გაამარტივა რეკომენდაციების შესრულების შეფასების პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამებთან მიმართებითაც იგივე სამუშაოები ჩაატარა დაწესებულებამ, რაც წინა პროგრამებთან და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:09
დასრულების დრო: 18:15

საკითხი 6
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინო-ტელე ოპერატორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „კინო-ტელე ოპერატორის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკითხი 9
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორი” (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ”კინო-ტელე ოპერატორი” (თეორია და პრაქტიკა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 14 ნოემბრის 18:19 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე